N 8839-11
07/10/2020

8839-11-3-202010071611

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით შერაზადიშვილს
სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის
სამსახურის უფროსის კონსტანტინე კორძაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ბოლნისის მუნიციპალიტეტსა და ინდ. მეწარმე „გიორგი სააკოვი“-ს შორის 2020 წლის 4 აგვისტოს გაფორმდა N186/01/20 ხელშეკრულება, ბოლნისის მუნიციპალიტეტის, სოფელი ხატისოფლის საჯარო სკოლის საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოების შესრულებაზე, რომლის ღირებულება შეადგენს 55649,10 (ორმოცდათხუთმეტი ათას ექვსასორმოცდაცხრა ლარი და 10 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, დასრულების ვადა განისაზღვრა 2020 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით.

2020 წლის 23 სექტემბრის N 18111/11 წერილით ინდ. მეწარმე „გიორგი სააკოვი“-ს მიერ წარმოდგენილი იქნა, შესრულებული სამუშაოების ფორმა №2 და მიღება-ჩაბარების აქტი, ღირებულებით 52013 (ორმოცდათორმეტი ათას ცამეტი ლარი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

2020 წლის 2 ოქტომბრის N 19221/11 წერილით ინდ. მეწარმე „გიორგი სააკოვი“-ს მიერ წარმოდგენილი იქნა, შესრულებული სამუშაოების შპს „რეალექსპერტი“-ს ინსპექტირების ანგარიში N R-E.TP.G04.FA.689.20, რომლის დასკვნის საფუძველზეც შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 51784,75 (ორმოცდათერთმეტი ათას შვიდასოთხმოცდაოთხი ლარი და 75 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 51784,75 (ორმოცდათერთმეტი ათას შვიდასოთხმოცდაოთხი ლარი და 75 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

ინდ. მეწარმე „გიორგი სააკოვი“-ს მიერ დარღვეულია ხელშეკრულების მე-3-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულებები (2020 წლის 13 სექტემბრიდან - 2020 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით, 8 კალენდარული დღე), ხელშეკრულების მე-12-ე მუხლის პუნქტი 2-ის შესაბამისად პირგასამტეხლო ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების (55649,10 ლარი) 0,1%-ს, პირგასამტეხლომ შეადგინა 445,20 (ოთხასორმოცდახუთი ლარი და 20 თეთრი) ლარი.

გთხოვთ თქვენს რეაგირებას.

პატივსცემით,

კონსტანტინე კორძაძე

სამსახურის უფროსი

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი